

935

საქართველოს  
საბავშვო  
საქვეყნო  
საბავშვო  
საქვეყნო

# მეგობრები



№9

19. სექტემბერი 35



სასიხარულო, სასიყვარულო  
 თქვენი სიმღერა, თქვენი სიცილი,  
 მინდა ხალისად გულში ჩავწურო  
 და აღტაცების შედგეს ციმციმი.  
 დიდი სამშობლოს მარგალიტებო,  
 იყრიამულეთ, იყრიამულეთ,  
 საგაზაფხულო ვარდ-ყვავილებო,  
 რამდენ სიხარულს შემატებთ გულებს!  
 ერთხელაც მოვალ, კიდევ იმღერეთ  
 ლექსი მტრებისგან მოკლულ ბავშვზე,  
 საღამოს შინ რომ ვეღარ დაბრუნდა

და თმაგაშლილი დედა დაეძვბს.  
 კვლავ მომასმინეთ პარტიზანული  
 და გამარჯვებულ კლასის მარშები,  
 იმღერეთ, კარგნო, როგორ ისვენებთ  
 თავისუფალი ქვეყნის ბავშვები.  
 თქვენი სიცილი და ყრიაშული  
 მინდა დავწერო მხიარულ ლექსად,  
 ჩემთან ბავშვები თქვენ სიყვარულით  
 საღამს ატანენ სამხრეთის მერცხალს!

მიხეილ მარალიძე



(დასასრული)\*

4

... მოახლოვდა ბარტყების დაფრე-  
 ნის დღეც. გიშგიშა ხარობდა, რომ  
 დღეს თუ ხვალ შეიღებეს წაიყვანდა წე-  
 როთა ნამდვილ სამეფოში და ნადირო-  
 ბაში გააჩვენდა. მაგრამ... ისეთი ამბავი  
 დატრიალდა, რომ გიშგიშამ ბედი დაი-  
 წყველა. აი, საქმე როგორ შეტრიალდა:

ნუნუს დედა პურს აცხობდა. სათონე-  
 დან ქარმა ნაპერწყალი აიტაცა და სწო-  
 რედ გიშგიშას ბუდეს წაუკიდა. ნუნუმ  
 წივილ-კივილი დაიწყო. მესობლები გა-  
 მოკვივდნენ. შემდეგ მთელი სოფელი ფეხ-  
 ზე დადგა. ნაპერწყალი მალე ალით შე-  
 იმოსა და ცეცხლის ენამ ლოკვა დაუწყო  
 გიშგიშას ბუდეს.

ამ დროს გამოჩნდა გიშგიშაც. გახა-  
 რებულს უზარმაზარი გომბეშო მოჰქონდა  
 შვილებისთვის. ცეცხლის დანახვაზე გუ-

ლი გაუსკდა და გომბეშო პირიდან გაუ-  
 ვარდა.

ვაიმე, შეიღებო!

გიშგიშამ გამწარებით რამდენჯერმე  
 შემოურა ბუდეს. უნდოდა შეიღებო ამო-  
 ეტაცნა, მაგრამ ცეცხლის ალი ეურჩე-  
 ბოდა.

— შეიღებო, შეიღებო! — შესძახა უკა-  
 ნასკნელად გიშგიშამ, — მეც თქვენთან ერ-  
 თად, მეც თქვენთან ერთად.

და სასოწარკვეთილებით ბუდეში ჩა-  
 ფრინდა, ცეცხლის ალში ბარტყებს  
 ფრთები გადააფარა, იქნებ რამენაირად  
 სიკვდილს გადაეარჩინო.

— ჩემი გიშგიშა, ჩემი გიშგიშა! — უშვე-  
 ლეთ ჩემ გიშგიშას, უშველეთ — წიოდა ნუ-  
 ნუ. იმას სახლი კი არ ენანებოდა, რომ ახ-  
 ლა ცეცხლი ყავარსაც გადასწვდა, არა-  
 მედ ისევ ის, მისი საყვარელი გიშგიშა.

\* დასაწყისი იხ. ჟურნ. "ოქტ." № 8.



საბედნიეროდ სოფლელებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს, რომ სახლი როგორმე გადაერჩინათ. დიდსა და პატარას დოქტებით მოპქონდა წყალი ვიღას ახსოვდა. საბრალო გიშგიშა! ხანძარმა ისიც და მთელი სასუბრავეიც აბორიალებულ აღწერა გამოახვია. წუთიც — და ყველაფერი მორჩებოდა, მაგრამ გიშგიშას კიდევ ერთმა აზრმა გაურბინა: მოდი და ფრთებით ავიტაცებ შეილებსაო. ორივე ბარტყს ცეცხლმოდებული ფრთები მოჰხვია, მოჰხვია, შეიბრძოლა კიდევ, კიდევ, აფრენით ვერ აფრინდა, მაგრამ ის კი მოხდა, რომ ბუდე მოამზღვლია და ცეცხლის ბურთივით შეილებთან ერთად ძირს წამოვიდა.

პირველი ნუნუ მიიქრა, შემდეგ სოფლელები და ანთებულ ბუდეზე წყალი მიუშვეს. გიშგიშამ თავი წამოჰყო, მაგრამ ვაი ამ წამოყოფას! ფრთებიც, ქათიბიც სულ დასწვდა და შესტრუსოდა, ბარტყები კი უფრო ნაკლებ დაშავებულიყვნენ.

ნუნუმ გიშგიშა და მისი ბარტყები გულში ჩაიკრა და სულაც ვერ გრძნობდა, რა საშინელი დამწვრის სუნი ასდიოდათ.

5

...სოფელმა დიდი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულ ოჯახს. ხე-ტყე მოზიდეს, მუშახელი შეაშველეს. სახლი ისევ გამშენიერდა; უფრო მეტიც: რაც ძველად არ ჰქონდა, ახლა შეივსო. თითქოს იმას ეუბნება ცასა და ხალხსაც, — აი რა შეუძლია საერთო ძალასაო.

ნუნუს გიშგიშაც ნელნელა მომჯობინდა, ფრთებზე ბუმბული წამოეზარდა, ძველი პეწითა და სინარნარით. ნუნუმ ახალი ბანტი გაუკეთა გიშგიშასაც და მის შეილებსაც, რომლებსაც ფრენა უკვე შეეძლოთ და დედის ნიშნის მოლოდინში იყვნენ. ეს დღევ დადგა. სამი ცოცხალი ჰაეროპლანი ერთად გაისერირნებდა ხოლმე ქაობნარისკენ, იქ გიშგიშა ვეშავდა ნადირობაში, დააძღვებდა და ბოლოს, საღამოჟამს, ისევ უბრუნდებოდნენ ნუნუს.

...ნავიანვეი შემოდგომა წამოიხსნა. ზნა და უჩვეულო წვიმებითა და ღრუბლებით ჩამოაბნელა დედამიწა. გიშგიშას ნალველი დაეტყო. გამოდარების მოლოდინში იყო.

ერთ დილას, ნუნუ რომ წამოდგა, გიშგიშა ახალ ბუდეში არ ჩანდა. ეგონა სანადიროდ თუ წავიდაო. კარზე გამოვიდა. შევხელოთ, მის ყურს ნაცნობი ხმები შეესმა ცის სივრცლიდან:

— გიშ-გიშ-გიშ!

მალა აიხედა. ასამდის წერო გამწკრივებულიყო და არემარეს თითქოს ემშვიდობებოდნენ.

— ვინ იცის, ჩემი გიშგიშაც მავათანაა და მიღალატა? — გაიფიქრა ნუნუმ, — ნუთუ მავასაც სჭირია თბილ ქვეყანაში წასვლა? ვანა ჩვენი ბუხრის სითბოს რა სჯობია.

ამ ფიქრებში იყო, რომ წეროთა მწკრივს ერთი გამოეყო, რომელსაც მალე ორი სხვაც მოჰყვა. სამივენი მოუახლოედნენ ნუნუს, თავზე სამჯერ შემოუარეს და საყვარლად გადმოსძახეს:

— გიშ-გიშ-გიშ!

ნუნუმ ხელი დაუქნია:

— ჩემკენ გიშგიშა, ჩემკენ!

მაგრამ დედა წეროს ამხანაგთა ყიყინა-ძახილი შეესმა, ერთიც დაუძახა ნუნუს „გიშ-გიშაო“ — და სწრაფად წამოეწია ამხანაგებს თავისი შეილებით.

— ეჰ, მიღალატა ჩემმა გიშგიშამ, მიღალატა! — ნალვლიანად წარმოთქვა ნუნუმ და წიგნებს დაუბრუნდა სკოლაში წასასვლელად.

7

...ზამთარმა ნელა გაიარა. ნუნუ სკოლაში დაცუნცულვებდა. ცივაობამ და გუნდაობამ სულ დაავიწყა გიშგიშა და მისი შეილები. შემდეგ ზამთარმაც ქირი მოგქამათ, და ენძელამ გაზაფხული ახარა არემარეს. ენძელას ბუჩქის ძირიდან თვალეუყუნა იამ გაუღიმა. აბიბინდა მინდორი. ალუბალს ყვავილენი თეთრ პეპელვებად შეეთოვა. თანაც ყუყუნებს ნახი წვიმა, ისე ალერსიანად, ისე ლამა-



ზად, რომ ნუნუს მოესურვა მზესთან ერთად იმასაც პირი დაეხანა. იქ კიდევ ცისარტყელა შვიდ ფერი სარტყელით ახავერდდა და ქვეყნიერებას ახარა, — ეს წვიმა მხოლოდ ბუნების დამატკობელი ცელქობააო.

— გიშ-გიშ-გიშ! — შეესმა ამ დროს ნუნუს ძველი ნაცნობი ხმა.

ნუნუმ ყურები ცქვიტა. აიხედა. ახლა შეამჩნია, რომ სამი წერო მათი სახლის სახურავს უახლოვდებოდა.

— ვიშ, ჩემი გიშგიშა! — შესძახა ნუნუმ და ხელები გაშალა შესაგებებლად.

სამ ფრინველში მხოლოდ ერთი გამოეყო და ნუნუს ფანჯრის მოაჯირზე ჩამოჯდა.

ნუნუ ოთახში შეიჭრა და მეგობარს ფანჯარა გაუღო. გიშგიშა შებაჯბაჯდა ფეხის კორიკით.

— გიშ-გიშ-გიშ! — მოესიყვარულა თავისებურად.

ნუნუ დაფაცურდა, სტუმარს ჯერ მშვენიერად გაუმასპინძლდა და მხოლოდ შემდეგ გამოუცვალა ბანტი, რომელიც გიშგიშას ფაქიზ კისერს სულ ერთიანად შემოლობოდა.

დავით კახაჩიძე

## რ ა მ ც ე ნ ა რ ე ა

(ბაზოცანა)

სასარგებლო მცენარეა,  
იგი ჩვენში ითვისება,  
მისგან არის, დიდ ქარხნებში  
კარგი ზეთი რომ მზადდება.

თავი უჯავს სავეს მთვარეს,  
მარცვლები აქვს ერთობ ხშირი,  
დგას ამაყად და მთელი დღე  
მიუპყრია მზისკენ პირი.

აღ. საჩინოშვილი



— დალი, დალი! 'შენ რომ გუშინ დაგვიპირდი ფლორას ამბავს გეტყვიტო, აი, ჩვენც მზად ვართ სასმენად!—მიაძახეს ტოლებმა დიდ დასვენებაზე ბალისაკენ გაქცეულ დალის და დაედევნენ.

— კარგი, ბავშვებო! სიამოვნებით მოგიყვებით, რაც მსმენია ბებუკასაგან, — უბასუხა ცქრილა დალიმ და ჩამოჯდა მწვანე მერხზე ხის ქვეშ. ათამდის ოქტომბრელი შემოეხვია მას.

მაისის ხასხასა მზე აცხოველებდა ბუნებას. ჩიტები მზიარულად ჭიკჭიკობდნენ ხის ტოტებზე. ცელქი პეალები თავს ევლებოდნენ ფერად ყვავილებს.

— ბავშვებო, ეს იყო დიდი ხნის წინათ: ჩემი ბებუკა ფათუ ძლივს ყოფილა იმ დროს 12 წლის გოგო. ერთი მდიდარი ინგლისელი, ახალგაზრდა არტური, ზამთრობით ფოთიდან ჩამოდიოდა სტუმრად ხონში ბებუკას მამასთან, რჩებოდა 2-3 კვირა და ნადირობდა ხოხბებზე, რომლებიც ბლომად ყოფილა იმ დროს ხონის მიდამოებში. არტურს თან ახლდა თავისი გამზრდელი მოხუცი რიჩარდსონი.

აი ამ მოხუცს ჰყავდა მეტად ჭკვიანი და საკმარად კარგი მემებარი ძაღლი ფლორა. ამ ძაღლსა და მის პატრონს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი; პატრონი შვილივით უვლიდა მას და კარგად ასაზრდოებდა.

ფლორა აოცებდა ყველას თავისი აზრიანი თვალებით და საარაკო ჭკუით. მაგალითად, რაგინდ მშინერი ყოფილიყო იგი, არ მიეკარებოდა საუკეთესო საქმელსაც კი, თუ ამ დროს ყურს მოჰკრავდა პატრონის ჩახველებას, რითაც ამცნევდა — ეგ საქმელი მავნეა და არ მიეკაროო. ჰამდა მხოლოდ მას, რის ნებასაც პატრონი მისცემდა.

ეს არაფერია, ბავშვებო, ასეთი რამ სხვა ძაღლებსაც შეუძლიათ ჩაიდინონ, თუ გაწაფავ. არა, ფლორამ ჩაიდინა ერთ-

ხელ ისეთი რამ, რაც ზოგიერთ მოზრდილ ბავშვსაც კი გაუჭირდებოდა. საზოგადოდ ძაღლი მეტად გონიერი ცხოველია, იგი ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ყველაფერს გაიგებს და გაგაგებინებს კიდევ ერთულ დავალებას კი ყველა ძაღლი ვერ შეასრულებს, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი და მოსაზრება. ერთი ასეთი მეტად რთული დავალება შეასრულა ფლორამ.

ბავშვები სიამოვნებით ისმენდნენ, სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი.

— ერთხელ დილითადრე, — განაგრძო დალიმ, ის ორი ინგლისელი თავიანთი მეძებრებით და თანამზღებნით წავიდა ხოხბებზე სანადიროდ. ზამთარი იყო, დიდი თოვლი. ნადირობის დროს ტყეში ერთი მხლებელი უცებ ჩავარდა წყლით სავსე ორმოში და მკერდამდის გაიღუმბა. საჭირო იყო მისი შეხურება არაყით ან კონიაკით, ე. ი. მაგარი სასმელით; თან წაღებული კონიაკი უკვე დავცოლათ. სოფელი და ბინა შორს იყო. მარტო ცეცხლის დანთება არ კმარადა. რა უნდა ექნათ? რიჩარდსონმა უცებ მოისაზრა რალაც, დაუძახა თავის ფლორას, ასუნებინა კონიაკის ბოთლისთვის, ანიშნა ასეთი ბოთლი, კონიაკით სავსე, ჩემს ყუთში დევსო, აი, იმ ყუთის გასაღებიცო და შეაბა ყელზე გასაღები. ახლავე გაიქეც ბინაზე, ის ყუთი გააღებინე ფათუს, ამოიღე კონიაკი, შემდეგ შენს თვალწინ დააკეტინე, გასაღები კი უსათუოდ შეგაბას ყელზე; კონიაკით სავსე ბოთლი წამოიღე და საჭიროდ მოირბინეო.

ფლორა მიხვდა ყველაფერს, დააიმედა პატრონი აზრიანი თვალებით და კუდის ქნევით და გავარდა მიირბინა ბინაზე, მაგრამ სახლი დაკეტილი დახვდა. შვირბინა იქვე მიწურ სამზარეულოში, სადაც გიზგოზებდა შუაღეცხლი და კეთდებოდა სადილი. აქ იყვნენ ფათუ და დედამისი. ფლორამ მიირბინა ორივესთან და კუ-

დის ქხვევით მიუალღერსა, ამით ანიშნა: მშვიდობაა, არ შეგეშინდეთო. შემდეგ ასწია ყელი და ფათუს აჩვენა შებშული გასაღები, თანაც დაავლო კბილები მის კაბას და ფრთხილად გასწია კარებისაკენ. ფათუ ჯერ შეშინდა, მერე კი მიუხვდა განზრახვას და გაოცებული გაჰყვა ფლორას. ძაღლიმა კულის ქნვევით აიყვანა ფათუ სახლის კბილებზე, აივანზე გავლით მიიყვანა თავის პატრონის ოთახთან და ანიშნა გაალე კარო. ფათუ მიხვდა და გაალო ოთახის კარი. ფლორამ შეიყვანა ფათუ ოთახში, მიიყვანა ყუთთან და ანიშნა — გაალე იგი ამ გასაღებით, რომელიც ყელზე მამიაო. ფათუმ მოხსნა გასაღები, გაალო ყუთი და ახადა თავი. მაშინ ფლორამ ღრენით ანიშნა: ყუთს არ მიეკარო, ახლა ჩემი საქმეაო. ყნოსვით მიავნო კონიაკის ბოთლს, ამოიღო პირით და ფრთხილად დადო ძირს. შემდეგ მიუალღერსა ფათუს, ანიშნა დაეკეტა ყუთი და გასაღები შეება ყელზე. ფათუ ადვილად მიხვდა ყველაფერს, დაკეტა ყუთი და გასაღები შეაბა ყელზე. ფლორამ დაავლო პირი კონიაკით სავე ბოთლს და გახარებული გაქანდა ტყისაკენ. საჭირო სასმელი მალე მიურბენინა პატრონს. კონიაკი დაალევინეს ორმოში ჩაყარდნილ კაცს, შეახურეს და მით გადაარჩინეს მძიმე ავადმყოფობას.

დალი შეჩერდა და შეისვენა. ბავშვების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— დალი, განა ძაღლიმა შეძლო ასეთი რამის ჩადენა? განა ეს მართალია?! — შეეკითხნენ ბავშვები.

— სრული სიმართლეა, ამხანაგებო! თვით ჩემი ბებუკა ორჯერ მომიყვა ამ გასაოცარ ამბავს.

— მერე რა მოხდა? — აღარ ჰყოფნიდათ მოთმინება ბავშვებს.

— მერე ის მოხდა, რომ ფლორას საარაკო საქციელმა მეტად გააოცა მთელი ხონი. ეს ამბავი მალე გავრცელდა იმერეთ-სამეგრელოში და მივიდა ერთი დიდი თავადის ყურამდის. მან მოისურვა ამ ძაღლის შეძენა, გაუგზავნა კაცი რიჩარდ-

სონს და შეაძლია ფლორაში დიდი ფული. იმ დროს ეს ინგლისელები უკვე ფოთში იყვნენ, სადაც იყო არტურის მამის კანტორა. არტურის მამა წოდებულია და ჩვენში ბზისა და ნიგვზის კუნძებს და გზავნიდა ინგლისში. რიჩარდსონმა არ მიიღო თავადის გამოგზავნილი ფული და შეუთვალა: — ფლორას მილიონება და ცი ვერ გავყვილი, იგი ჩემი სიცოცხლეა და სულისდგამაო. საშინლად გაბრაზდა თავადი, მან ისევ გაუგზავნა დიდძალი ფული და ოქროთი მოჭედული თოფი, თან შეუთვალა მუქარა: თუ ვე შენი ძაღლი არ მოგიცია, ჩემს ქვეყანაში არ გამყოფებო; კარგად ვიცი ვინცა ხარ, ინგლისის მთავრობას მიგცემ ხელშიო... ის მოხუცი რიჩარდსონი თურმე რევოლუციონერი ყოფილა, ინგლისიდან გამოპარული, ჩვენში იმალებოდა. მეტად შეაკრთო იგი ამ მუქარამ, ერთი მწარედ ამოიკენესა. ჩაიკრა გულში თავისი საყვარელი ფლორა, კოცნა დიდხანს, გამოეთხოვა ცრემლებით და გადასცა იგი თავადის კაცს, ძაღლს კი უბრძანა გაყვივო თანაც იმ კაცს უკანვე გაატანა გამოგზავნილი ფული. თოფი კი დაიტოვა...

— რატომ? — შეეკითხნენ ბავშვები.  
— იმ თოფით საწყაღმა რიჩარდსონმა იმავე ღამეს მოიკლა თავი...  
— თავი მოიკლა?! ოჰ, უბედური მოხუცი!

ბავშვები აცრემლდნენ.  
— ფლორა კი იმ საძაგელ თავადთან დარჩა!

— არა, ბავშვებო, ფლორა მეხუთე დღეს გამოებარა ახალ პატრონს, მიიღბინა ფოთში, შევარდა კანტორაში და დაუწყო ძებნა თავის ძველ პატრონს. გონიერი ძაღლი წინასწარ გრძნობდა რაღაც დიდ უბედურებას, ტირიდა, ზუოდა და სათითაოდ ემუდარებოდა არტურსა და კანტორის მოხელეებს ეჩვენებინათ მისი საყვარელი პატრონი. ვერავითარი დაყვავებით ვერ დაამშვიდეს ფლორა, იგი არ მიეკარა საუკეთესო საქმელებს, რომლებიც ბლომად შესთავაზეს, მხო-

ლოდ ცოტა წყალი მოსვა, რადგან დადლილიყო გზაში რბენით და მეტად სწყუროდა. მაშინ არტურმა წაიყვანა იგი სასაფლაოზე და აჩვენა რიჩარდსონის საფლავი. გონიერი ძაღლი მიხვდა ყველაფერს. ფლორამ დაყნოსა პატრონის საფლავს და გააბა საშინელი ზუილი. იგი ტიროდა როგორც ადამიანი და მწარე ცრემლებს ღვრიდა, თან ფეხებით პოტნიდა საფლაოზე დაყრილ მიწას. უერავითარი მოფერებით ვერ მოაშორეს პატრონის საფლავს. ძაღლი გამწარებით უღრგნდა ყველას, ვინც კი მიუახლოვდებოდა წასაყვანად, არ მიეკარა არც საქმელ-სასმელს. სრული სამი დღე

და დამე ზუოდა იგი საშინლად და მრთქვამდა უბედურ რიჩარდსონს. მეოთხე დღეს დილით ერთგული ფლორამ დატოვა თავისი საყვარელი პატრონის საფლავი...

დალიმ გაათავა ეს სამწუხარო მოთხრობა და მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლები. გარს შემოხვეული ბავშვები ჩუმად ტიროდენ... მყუდროებას აოღვევდა ისევ ჩიტების მხიარული კიკიკი. ბავშვთა ცრემლიან თვალებს ეჩხირებოდა იქვე ყვავილებს შორის პეპლების უღარდელი ფრენა-ნაფარდი...

მია ხინო



# შადრევანთან

სალამოა. ჩამავალ მზეს მოსწყდა უცებ სხივთა ჩქერი, და აღისფერ კამარაზე აიშალა ფრინველ-მწერი.

აგერ ბალიც ახმაურდა. მუსიკის ხმას ფიქრი მიაქვს; ცხელა. ყველას ახლა უნდა ღიმილით რომ შეხვდეს ნიავს.

ხეივანმა, ყვავილებმა, მოღმა სიცხე გაანელა;

აქ—სიმღერა არ იღვევა,  
იქ — ხმაურობს საქანელა...

შადრევანთან პატარებმაც გააჩაღეს ცეკვა-მღერა:  
ცეკვავს ზურა, მღერის რემა,  
მერიმ ყელი მოიღერა.

ნიავე კი აშრიალებს  
შადრევანთან სათუთ ნაძვებს;  
ვინც რომ ცელქებს თვალს შეაფლებს,  
— ბედნიერნო! — ასე დასძენს.

ბანო რანალი

# ბასკურა ბასოხხლა



— დედი, დედი, უთხარი იას გამოვიდეს, გამოიყვანოს თავისი ხატაურა! — ბალიდან წკრიალა ხმით შესძახოდა პატარა თემური აივანზე მდგომ დედას.

— რა გინდა, რა? — მოისმა პატარა თმანუქუქა იას ხმა, რომელსაც ხელში ჭრელი ხატაურა ეჭირა.

— ია, ჩამოდი, ჩამოდი, შევაჯობროთ ჩემი ძიმა და შენი ხატაურა, რომელი აჯობებს! თან თემური კმაყოფილებით ხელს უსვამდა თავზე თეთრ შპიცს, რომელსაც კული ზევით კოხტად აებრინხა და ისიც ზევით ისე იყურებოდა, თითქოს იწვევს ხატაურას შესაჯობებლად.

— კარგი, ოღონდ შენ არ მოეხმარო, იცოდე! და იამ ამ სიტყვებით სწრაფად ჩამოირბინა კიბე. ბავშვებმა კატა ძაღლს ცხვირთან მიუყვანეს, ხან თავზე დაუსვეს, ხან ზურგზე... ბრაზობდა ძიმა, უნდოდა პირი ეტაცა ხატაურასათვის, მაგრამ ისიც მარჯვედ იქცეოდა, ბასრ ბრჭყალებს სწრაფად უქნევდა და თავს იქით-აქეთ სწრაფად აქანებდა, რომ ძაღლს პირი არ ეტაცა. ბავშვები მხიარულად იცინოდნენ და კიდევ უფრო აქეზებდნენ თავიანთ გმირებს. კატა იას ხელიდან გაუსხლტა და ხეზე შეხტა, ძიმა კი ქვეშიდან დაღუპული გულდაწყვეტილი უყევდა ხეზე არხეინად წამოსკუპკუპულ ფისუნას, რომელიც ეშმაკურად დაჰყურებდა აბეზარ ძიმას.

— აჯობა ჩემმა ფისუნამ, აჯობა! — მხიარულად იძახდა ია და თან კმაყოფილი ასკინკლას უვლიდა.

— ააა, როგორ აჯობა! ერთი ძირს ჩამოვიდეს, მაშინ ნახავს!

— თვითონ მაგ აბრძანდეს ზევით, თუ კარგია!

— ეგ ვერ ავა, ვანა არ იცი, რომ ძაღლები ხეზე ვერ აღიან.

— თუ ვერ აღის, ისე იყოს, ეგ რა ჩემი ხატაურას ბრაღია! — უდარდელად უპასუხა გამარჯვებულმა იამ.

თემური ძალზე გააბრაზა ფისოს სატყვიემა, აცოცდა ხეზე და კატას ჩამოგდება დაუპირა.

— არ ჩამოავდო, არ ჩამოავდო! — უძახდა ქვევიდან გაწიწმატებული ია, მაგრამ თემური მას ყურს არ უგდებდა. კატა ძირს ჩამოავდო. შეიქნა ცხარე ბრძოლა. იბრძოდა ძიმა თავგამეტებით. იბრძოდა ხატაურაც. სისხლიც კი დაადინა ძიმას ცხვირიდან. ბავშვები კიოდნენ და ცდილობდნენ მაჩხუბრების გაშველებას. მალე ჩამოეშველა მათ დედა. თან ბავშვებს უჯავრდებოდა:

— თქვე საძაგლებო, ეს როგორ იქნება, ცხოველები ასე ერთმანეთს როგორ უნდა გადაამტეროთ?!


ბავშვები ცხარე ცრემლით ტიროდნენ და დედას ემუდარებოდნენ:

— დედა, დედიკო, უშველე ხატაურას, უშველე, არ მოკლასო. როგორც იყო, დააცილეს ერთმანეთს მოჩხუბარნი. ხატაურა გაქიშული ვეღო მიწაზე და აღარ ინძროდა.

— დედა, დედილო, მოუკლავს ჩემი ლამაზი ხატაურა, მოუკლავს! — კიოდა გამწარებული ია და თან თემურს უტევდა:

— სულ შენი ბრაღია, შე საძაგლო!

— ჯანა მე მოკვლა მინდოდა! — სლუკუნით ამბობდა თემური და სახელოთი იწმენდა ცრემლებს. დედა ამშვიდებდა ატირებულ ბავშვებს და თან ძაღლს უტევდა, რომელიც დარცხენილი შორიახლოს დასკუპულიყო, გრძნობდა,



რომ რალაც დააშავა. დედამ აიყვანა მკვდარი კატა და სახლისაკენ წავიდა. უკან კი ატირებული ბავშვები აედევნენ. დე-

და თითონაც შეაწუხა ხატაურას სიკვდილმა და ბავშვებს შეუტია: <sup>არქონული</sup>  
— კარგით, ახლა გაჩუმდით. <sup>არქონული</sup>  
უკეთებთ ტირილით! — კატა სამხარეულოში იატაკზე დააგდო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მეფხოვეს ვეტყვი გადაადლოს სადმე. ამ დროს კატა შეინძრა, წამოხტა და ღუმელის თავზე სწრაფად შეხტა. ბავშვებს ცრემლით სავსე თვალები ფართოდ გაეღოთ და გაოცებულნი მისჩერებოდნენ ხატაურას.

— დედა, დედიკო! ხატაურა გაცოცხლდა, ხატაურა გაცოცხლდა! — ყვიროდნენ ისინი და კატას ეხვეოდნენ...

ხატაურას ხერხით გაოცებული დედა მხიარულად ამბობდა:

— შეხვით, როგორი ხერხიანი ყოფილა ჩვენი ხატაურა, როგორ მოატყუა ჩვენი ძიმა.

— ჩვენი ლამაზი, ჩვენი ჭკვიანი ხატაურა! — იძახოდნენ ბავშვები და უაღერსებდნენ ხატაურას, რომელიც სიამოვნებით ნაბავდა თვალებს კმაყოფილი, რომ თავისი ხერხით გადარჩა ძიმას კბილებს.

კლავდია დედაჩიანი

## ბ ი ვ ი დ ა გ უ ზ ი

არ იქნა, ვერ მოიცილა  
საზიზღარი, მურიანი...  
ისევ ისევ ბზუ... ბზუ... ფრინავს  
და ხელს უშლის შურიანი.  
ხან ყურზე უკებენს, ხან კისერზე,  
აწვალებს და კანს უქავებს,  
ხან კი ბზუ... შიშველ კუნთზე...  
ჰშურს, რომ მფრინავს ფრთებს უთავებს.  
ბოლოს ჩუმად ხმაგაკმენდით  
მიგბარა ნელა, ნელა  
და დაუწყო თავის ისრით

ეკალივით მკლავზე კებნა.  
გივიმ უთხრა: „ახლა მორჩა,  
ვერაფერი ვერ დაგიცავს,  
თუ ძალაზე წავა საქმე,  
სად შენი თქვა, — მეც იქ მიცან.  
ჰა, მიიღე შენი, ავო!“

უცებ მკლავზე დაჰკრა ხელი,  
და იმ წამსვე ძირს დევიარდა,  
ვით ნახშირის მონათხვენი.

ი. ბალიაშვილი



ლეილა და ცანცარა ერთი ხნის იყვნენ.

ლამაზი თხა იყო ცანცარა, მაყვალვით შავი.

ლეილამ რომ შიშით გადადგა პირველი ნაბიჯი, ცანცარა მაშინ კლდეებზე დაპოტინობდა, ბაღახს მიირთმევდა...

ლეილა იმ დროს მთვარის დაქერასაც კი ცდილობდა: მას არ ესმოდა რა იყო შორს და რა ახლოს, აფათურებდა ხელებს, ყველაფრის ხელში ჩაგდება სურდა...

ცანცარა კი უკვე გამოცდილი იყო, მან კარგად იცოდა, რომ შორს იყო ის მთა, სადაც მგელმა კინალამ გაგლიჯა: იცოდა, რომ ახლოს იყო ბოსტანი, სადაც გემრიელად მიირთვა მართა მამიდას დარგული კომბოსტო.

აჯობა ცანცარამ ლეილას!

ლეილა რომ ძლივს დადიოდა, ცანცარა ხტოდა, ეზო აკლებული ჰქონდა. წამოიზარდა ლეილა. ატიტიინდა. ყოველდღე ახალ ახალ სიტყვებს სწავლობდა.

ცანცარა კი ძველებურად გაიძახოდა ერთადერთ სიტყვას „მეფე!“

აქ კი ლეილა იყო გამარჯვებული!

ბევრი, ბევრი სიტყვა იცის ლეილამ, მაგრამ ზოგი ბგერა უჭირვებს საქმეს. „რ“-ს ვერ ამბობს. უსწორებენ, მაგრამ მაინც „ლ“-ს გაიძახის.

— დედას რა ჰქვია? — შეეკითხებოდა ხოლმე.

— ველა, — უპასუხებს, და რცინს რცინს გაეცინებათ, თავზე ხელს გადაუსვამენ და ეტყვიან:

— არა, შე კუდრაქა, ველა კი არა...

ერთი სხვა ბგერაც გადაეკიდა: ვერ ამბობს „ქ“-ს, სულ „თ“-ს გაიძახის.

— თეთო, თეთო! — ყვირის ლეილა, შვილი წლის ქეთო კი ყურადღებას არ აქცევს...

— თქვი: „ქეთო“.

— თეთო!

— თეთო და გთეთქო! — უცინის ქეთო და ხუმრობით ლოყახე სილას გაჰკრავს.

აფშლუყუნდა ლეილა...

— სუ, გოგო, რა გატირებს? — ეუბნება დათიკო: — შენ ისა თქვი, სირბილში რომელმა აჯობეთ, შენ თუ ცანცარამ?

— მეფე! — დაიკიკინა ამ დროს თხამ.

— ე, ხომ ხედავ, თხას უჯობნია! — გადაიკისკისა ქეთომ.

ლეილას ღიმილი გადაეფინა სახეზე.

— კიდევ თქვი, ცანცარა, ვინ აჯობა?

— მეფე! მეფე! მეფე! — გააბა თხამ.

— კარგი, ნუ გადაგვყრუე! — ღიმილით მიმართა დათიკომ ცანცარას. — გავივთ, გეყოფა!

— მეფე!

— ვაი შეეენ! არ გაჩერდები? — და სახრე მოუქნია.

— თეთო, თეთო, პეპელა! — წამოიძახა ლეილამ და პეპელას დაედევნა...

\* \* \*

ცანცარას პატარა ბეკეკა ეყოლა. სულ დედასა ჰგავდა.

ლეილა არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა ცანცარას და სულ ბეკეკას დასტრიალებდა, რასაც კი იშოვნინდა, ყველაფერი მისთვის უნდოდა.

ერთხელ კატლექტი შესთავაზა და ძალიან გაუკვირდა, ბეკეკამ რომ არ შექამა.



— ქამე, შე სულელი! აბა მიყუდე, ლა გემლიელია! — და უცებ გადასანსლა. სულ ერთად არიან ლეილა და ბექეკა.

ლეილა აქმევს, ლეილა ასმევს, ლეილა ვალერსება.

ბექეკას უყვარს მწვანე ბალახი, ლეილას — შაქარი.

დღეა რომ ჩაის დაუშაქრავს, ლეილა ერთ ნატებს კიდევ ჩაიმატებს.

— გოგო, არ ვინდა ამდენი შაქარი! — ეტყვის ხოლმე დღეა.

ხანდახან პირშიც გადაუძახებს შაქარს და წუწნის...

— ლელიკო, თავი დაანებე შაქრის ქამას! — ახლა კი წყრომით ეტყვის დედა.

— მეტს აძალ ავიღებ, დედა! — უპასუხებს წამოწითლებული გოგონა, მაგრამ რა ქნას — ძალიან, სულ ძალიან უყვარს „შათალი“.

ერთხელ მაგიდას შემოუხსდნენ ბავშვები.

დღემ დაშაქრა მათი ჩაი და მეორე ოთახში გავიდა.

ლეილა მისჩერებია საშაქრეს. ათეულიერებს ნატებს შაქარს და პირში ნერწყვი მოსდის... ჩაი ჯერ ცხელია, ცოტა უნდა დაიცადოს, თორემ პირს დაიწვავს.

მისჩერებია ლეილა შაქარს, შაქარიც მისჩერებია მას. თითქოს უცანის კიდევ, ვალერსება. იცის ლეილამ: ისეთი ტკბილია, ისეთი, რომ...

თვითონაც არ იცის როგორ მოხდა, რომ „შათალი“ ლეილას პირში მოხვდა...

ლეილამ აიღო, ნეტავ, თუ შაქარი თვითონ ჩაუვარდა პირში?

მერე რა გემრიელი იყო, რა ტკბილი! აი, ცოტაღა დარჩა კიდევ...

სწორედ ამ დროს დაბრუნდა დედა. მას შაქარი დათვლილი ჰქონოდა და დაინახა, რომ ერთი ნატები აკლდა.

— ვინ აიღო შაქარი? — ოხ, რა მწარე ეჩვენა ლეილას ახლა შაქრის ნატები!

აღარც დნება!

გაეხიროს სასაში, არც წინ მიდის, არც უკან...

გაქარხლებულმა ლეილამ თავი ჩატუნა, მაგიდას დაეყრდნო.

ბავშვები ღუმდნენ.

— ვინ აიღო შაქარი? — ვაიმე!

ვაიმეორა დედამ.

ამ დროს შემობაკუნდა ბექეკა და დაიკიკინა:

— მევე!

ბავშვები აერიაშულდნენ:

— ბექეკას აულია, ბექეკას!

ლეილამ მეტი ვეღარ მოითმინა და და ტირილი წასკდა.

— შეგირცხვეს თავი! მაგხელა გოგომ ვერაფერი ვერ უნდა ისწავლო?! — თქვა დედამ და გაბრუნდა.

— რა გატირებს, გოგო! — მიმართა ლეილას დათიკომ და ხელი წაჰკრა. — შაქარი ბექეკას აულია და შენ რა გატირებს?!

— ხომ შენ აიღე, ბექეკა? — შეეკითხა დათიკო, მაგრამ თიკანი ღუმდა.

— თქვი, ვინ აიღო?

თიკანი ხმას არ იღებდა.

— ვერ გათქმევიანებ, ვერა? — წამოხტა დათიკო და წაავლო ყურებში ხელი.

— ვინ აიღო შაქარი?

— მევე! მევე! — გააბა ბექეკამ, რომელსაც შეუბრალებლად აუწია ყურები ცელქმა ბიჭმა.

— შენ შაქარი მოიპარე და აქ კი ლეილას დააბრალებს! ვინ მოიპარა შაქარი? — ხმამალა შესძახა დათიკომ, ქეთომ კი ცალი ხელი წაავლო ყურში ბექეკას.

— მევე!

მაგიდაზე დამხობილი ლეილა ცალი თვალით იჩქიტებოდა, მეტი ვეღარ მოითმინა და გადაიკისკისა.

მარგალიტოვით ელავდა მისი ცრემლიანი თვალები...

ამის შემდეგ ლეილა ხშირად ეკითხებოდა თავის საყვარელ ბექეკას:

— შათალი ვინ მოიპალა?

— მევე! — ბლაოდა ბექეკა, რომელსაც ყურებს უწევდნენ ცელქი ბავშვები...

# უპურო ქანი

იყო ერთი პატარა ბავშვი, რომელსაც უპურო ქანი ერქვა. უპურო ქანს იმიტომ ეძახოდნენ, რომ თითქმის ერთადერთ მის საკვებს ხმელა პური წარმოადგენდა, ისიც მათხოვრობით უნდა ეშოვნა.

უპურო ქანს ისეთი მოსაწყენი ცხოვრება ჰქონდა, რომ მის სახეს არასდროს არა თუ სიცილი, ღიმილიც არ გაჰკარებია.

იშვიათად მოიპოვებდა ისეთი პატარა ბავშვი, რომელსაც არ გაეცინოს, ან არ გაეღიმოს, მხოლოდ ეს კი ასე იყო.

ქანი ქერა ბიჭი იყო. აბზეკილი ცხვირი და ლურჯი თვალები ჰქონდა, შავ წინსაფარსა და ყვეთელ შარვალს ატარებდა. ის არ მუშაობდა: მისთვის სამუშაო არსად იყო. არც სკოლაში დადიოდა, რადგან დედამისს სხვა მომუშაველი არ ჰყავდა. საბრალო დედიკო, მუშაქალი, ქლექით იყო დაავადებული და ცხოვრობდა ერთ დაბალქერიან ოთახში. მათ ოჯახში ცეცხლი თითქმის ყოველთვის ჩამქრალი იყო.

ქანის მამა ომში დაიღუპა.

ეს ამბავი მოხდა ჩრდილოეთის ერთ სოფელში, ომის დროს. მამინ უპურო ქანი ათი წლისა იყო.

ერთხელ ზამთარში, სადამოს, როდესაც უპურო ქანი შინ ბრუნდებოდა ნაშოვნი სურსათ-სანოვაგით, პურის ქერქებით, თავისი დედის ოთახში ბევრი ხალხი დაინახა. მღვდელი სახლის პატრონთან ერთად ანგარიშობდა, რამდენად გაიყიდება ღუმელი და ლოგინიო, რომ პანაშვიდის ხარჯი და ბინის ქირა დაეფარათ. უპურო ქანს შერცხვა, თუმცა

კარგად ვერც გაერკვა იმათ ლაპარაკში, და გარეთ გავიდა. იგი არავის შეუშინებია.

მაგრამ ამ ღამეს უპურო ქანი არსად შეჩერებულა.

კართან ჩამოჯდა ქვაზე და დიდხან იტირა. ტირილით გული მოიჯერა. ძალიან შესცივდა. ადგა და ანგარიშმიუცემლად წავიდა...

ომს მხოლოდ სოფლის ნახევარი გადარჩა, მეორე ნახევარი ომმა შთანთქა. უპურო ქანი ყოველდღე ამ გზით დაიარებოდა. იცნობდა ყოველ ნანგრევს, სადაც ეყარა ცარიელი ბოთლები, კონსერვების დაქულები კოლოფები, ჩაფხუტები და მრავალგვარი სხვა არაჩვეულებრივი ნივთები.

ქანს ღამის არ ეშინოდა, სტვენა არ დასჭირვებია თავის გასამხნეველად. უყოყმანოდ ჩავიდა სოფლის ბოლომდის, საიდანაც გზაჯვარედინი იწყებოდა.

მისმა მოსულამ ხელი შეუშალა ბრაკონიერს,<sup>1)</sup> რომელიც იმწამსვე იქაურობას გაშორდა.

ქანი შედგა. ქვაზე ჩამოჯდა. მის წინ ქარხლის ძველი მინდორი იშლიებოდა და შორს მოჩანდა ომისაგან სრულიად დაფლეთილი ტყე. დამწუხრებული ქანი მუდამ ამ ადგილას მიდიოდა, აქ ეგულებოდა მცენარეები და ცხოველები, რომლებიც მას ყოველთვის მეგობრობდნენ.

უპურო ქანი ზაფხულობით განმარტოვდებოდა მწვანე ბალახებში ან ჯეჯილეში და კალიებს ეთამაშებოდა. ზამთრობით ღრუბლებს შორის თვალს ადევნებდა აკურების, იხვებისა და ტოროლების შორეულ გადაფრენას.

<sup>1)</sup> ბრაკონიერი ეწოდება მონადირეს, რომელიც აკრძალულ დროს ნადირობს.

ამ ცივ საღამოს დიდხანს იტყირა სო-  
რცეში, მაგრამ ვერაფერი დაინახა ცის  
ვარსკლავების გარდა, რომლებიც ხან  
ახელდნენ თვალებს და ხან ხუჭავდნენ.

ქანი ღრმად ოხრავდა და წუხდა, რომ  
არ შეეძლო მათთან სათამაშოდ ასვლა.  
ამ დროს გაყინულ ბალახში რაღაც შე-  
ინძრდა ქარხლის მინდვრიდან მის წინ  
გზაზე მსუბუქად ისკუბა.

ეს კურდღელი იყო.

უპურო ქანმა თვალეები დაჰხარა, კურ-  
დღელს ფრთხილად შეხედა, ადგილი-  
დან არ დაძრულა.

ყურებატყვეტილი, გასაქცევად გამზა-  
დებული კურდღელი მშვიდად მყოფ ქანს  
რომ მიაჩერდა, თვითონაც დამშვიდდა.

კურდღელი ქანის გვერდით ჩაცუცქდა!  
თავისი წინა პატარა თათები გასათბობად  
მუცლის ქვეშ დამალა და უთხრა ბავშვს:

— საღამო მშვიდობისა, ქან!

საზოგადოდ, კურდღლები იმიტომ არ  
ლაპარაკობენ, რომ ამისთვის დრო არა  
რჩებათ, — აშინებენ მათ, ნადირობენ მათ-  
ზე. კურდღლები ყოველ ადამიანს, დიდ-  
სა და პატარას, ერიდებიან. ეს არის  
მიზეზი, რომ კურდღლებს სამარცხვინო  
სახელი „შშიშარა“ შეარქვეს.

ისე კი კურდღელი კატაზე უფრო სა-  
ყვარელი ცხოველია.

ქანმა ქული მოუხადა და უპასუხა:

— საღამო მშვიდობისა, კურდღელო!  
დამშვიდებულმა კურდღელმა უღვა-  
შები აქცივტა და სახით მთვარისკენ მი-  
ბრუნდა.

— შენ რომ აქედან ბრაკონიერი გან-  
დევნე, ამით დიდი სამსახური გაუწიე  
ტყისა და მინდვრის ყოველ ცხოველს...  
ნათელი ღამეა. გინდა, ერთად გავისეირ-  
ნოთ?

— თუ შენც გინდა, კურდღელო...  
მაგრამ ვერ შეგპირდები, რომ შენსავით  
ჩქარა ვივლი.

— ვინ გითხრა, თითქოს მე მსურდეს გარ-  
ბენინო და თავიც დავიღალო, რომ ზვალ  
პირველშეხვედრილმა სოფლის ლეკვმა  
დამიჭიროს? ქან, ყური მიგდე. ამ საღამოს

მინდვრების ცხოველებმა გადაწყვიტეს  
ამოირჩიონ ადამიანის ისეთი მშველი,  
რომელსაც არასდროს არ მოეცვას, არც  
ექამოს მინდვრის ცხოველი და გააცნონ  
მას საოცარი ამბები. ადამიანმა უნდა ის-  
წავლოს როგორ გახდეს კეთილი და თა-  
ვისუფალი. მამაშენი ომში დაიღუპა და  
დედაშენი ავად იმიტომ გახდა, რომ ადა-  
მიანი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ  
თავისუფალი და არც საკმაოდ კეთილი.  
ამის გამოა, რომ შენ არასოდეს არ გა-  
გილიძია.

როცა ადამიანები კეთილი და თა-  
ვისუფალი გახდებიან, ერთმანეთს ავს არ  
უზამენ, მაშინ არც მინდვრის ცხოვე-  
ლებს მიაყენებენ რაიმე ზიანს.

ამ საღამოს შენ სიმართლე უნდა აც-  
ნობო იმით, ვინც ადამიანთა შორის ყვე-  
ლაზე უფრო იტანჯება. მაშინ, უპურო  
ქან, პირველად გაიღიმებ შენი ხანმოკლე  
ცხოვრების მანძილზე!

— ნება მომეცი ჩემი თვითმფრინავის  
მოსაგორებლად წავიდე.

— კურდღელმა ისკუბა და ქარხლის  
მინდორში დაიძალა.

— შენი თვითმფრინავის? — კურდღლის  
საუბარმა დიდად გააოცა ქანი. თვით-  
მფრინავით უნდა გამგზავრებულიყო! უე-  
ჭველია, შენც გამოთქვამ გაკვირვებას:  
დღემდის იმ ამბებში, სადაც ცხოველები  
ლაპარაკობენ, არასოდეს, არასოდეს არ  
ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი თვით-  
მფრინავში ჩამსხდარიყვნენ.

ეს ადვილი გასაგებია: დიდი ხანია,  
რაც ცხოველებთან აღარ საუბრობენ და  
ამიტომ მათ ცხოველებში მომხდარი  
ცვლილებები არ იციან.


ქანი აღტაცებული იყო იმით, რომ  
ავიღოდა იქ, სადაც დაფრინავდნენ აკუ-  
რები, ტოროლები, იხვები, თან ვარს-  
კლავებსაც მიაღწევდა.

— კა, კა, კა, კა! ფრრრრ...

ოცი ტყის ქათამი ეშვებოდა ახლა მის  
წინ, ოცი მსუქანი და ლურჯი ტყის ქა-  
თამი, მშვენიერი წალით მკერდზე.

პოლ მაიან კობახიძე


თარგნული ფრანგულიდან ირ. ჭავჭავაძის მიერ



## 1. დნეპროპისი


დნეპრის ელექტროსადგური ყველა ელექტროსადგურზე დიდია, ვეროპაში. დნეპრის ჯებირის აგებაზე დაიხარჯა მილიონი კუბომეტრი ბეტონი. ამდენი ბეტონისაგან შეიძლებოდა მეორე ხეობას პირამიდის აგება. ხომ ვახსოვთ ხეობას პირამიდის 40 წელს აშენებდნენ, დნეპროპისი კი წელიწადნახევარს ააგეს. დნეპრის ჯებირმა მდინარის დონე 38 მეტრით ასწია. ფაროსის შუქურა რომ დნეპრის ძველ დონეზე დაედგათ, შუქურა დაიმალებოდა დნეპრის აწეულ წყალში, — ასე დიდია საბჭოთა ქვეყნის ეს საკვირველება.

დიდი არხის საშუალებით, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის სახელი უწოდეს. ეს არხი 227 კილომეტრის სიგრძისაა იგი ერთ წელსა და 9 თვეს გაიყვანეს. ასეთი დიდი არხი მსოფლიოში არ არსებობს. ამ დიდ არხს რომ ქვა დასჭირდა, იგი ერთნახევარ დნეპროპისს ააშენებდა. არხის გასამაგრებლად დაგებული მორები რომ ერთმანეთს მივაწყოთ, მთელი მსოფლიოს გარშემო საცალფეხო გზას გაიყვანდით იმ მორებით.



## 3. აპენინის ზვირაბი


„ვეროპის“ დიდი საკვირველებაა აპენინის გვირაბი. იგი იტალიაშია. მისი გათხრა 22 წელს გრძელდებოდა და ამ 5 წლის წინათ დაამთავრეს. გვირაბი აერთიანებს იტალიის ორ დიდ ქალაქს: ფლორენციასა და ბოლინიას. გვირაბის გამთხრელი მუშები წააწყდნენ მთის სიღრმეში მიწისქვეშა ტბებს და მ გ რ ვ ი ნ ა ვ ი ვ ა ზ ი თ ს ა ვ ს ე გამოქვაბულებს. ისინი იყო თავდებოდა კიდევ გვირაბის გაყვანა, რომ ერთი გამოქვაბული აფეთქდა. ცეცხლი შვიდი თვის განმავლობაში ტრიალებდა გვირაბში. ბოლოს ცეცხლი ჩააქრეს და გამოქვაბული ბეტონით ამოქოლეს. აპენინის გვირაბის სიგრძე 18 კილომეტრია. შუა ალაგას გვირაბი გაფართოებულია და იქ სადგურია მოწყობილი. ამ სადგურთან მთელი მიწისქვეშა ქალაქია გაშენებული საცხოვრე-




## 2. ატლანტიკისა და დიდ ოკეანეს არხი

ატლანტიკისა და დიდ ოკეანეს აერთებს პანამის არხი, რომლის სიგრძე 68 კილომეტრია. მას თერთმეტ წელს აშენებდნენ. ხმელთა შუა ზღვა მეწამულ ზღვას უერთდება სუეცის არხის საშუალებით. სუეცის არხის სიგრძე 160 კილომეტრია. მას ათ წელიწადს თხრიდნენ. საბჭოთა კავშირში თეთრი ზღვა და ბალტიის ზღვა ერთმანეთს შეუერთეს

ბელი სახლებითა და სახელოსნოებით.  
ამ ქალაქს ჰაერს აწვდიან უზარმაზარი  
ვენტილატორები.



4. ეიფელის კოშკი



5 უდიდესი ცაღმბჯენი.


საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში არის მაღალი კოშკი. ეს კოშკი ინჟინერმა ალექსანდრე ეიფელმა ააშენა და ამიტომ მას ეიფელის კოშკი უწოდეს. მისი სიმაღლე 300 მეტრია. კოშკი მეტად ლამაზია. იგი დასაყრდენზე დგას და 58 მეტრის სიმაღლე თალი აქვს. ამ თალის ქვეშ თავისუფლად მოთავსდებოდა როდოსის კოლოსი. კოშკი ესოდენ მაღალია, რომ ქარიან დღეებში მისი ზედა ბაქანი თვალსაჩინოდ ქანაობს. ამჟამად კოშკში მოთავსებულია ობსერვატორია და სამი მძლავრი რადიოსადგური. დამდამობით კოშკზე აწყობენ ილუმინაციას: მისი წვერი წითლად ეღოავს, ხოლო კოშკის ქვემო სართულებში ლურჯი ვარსკვლავები ციმციმებენ.

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ ნიუიორკი დიდი ქალაქია. ამ ქალაქში უზარმაზარი სახლებია, ამ სახლებს ცაღმბჯენებს უწოდებენ. ამასწინათ ნიუიორკში ისეთი სახლი ააგეს, რომელიც ეიფელის კოშკზე მაღალია. მისი სიმაღლე 380 მეტრია. ქვემოდან ზემო სართულებამდის ასაწვევი მანქანებით აღიან, რომელთაც ლიფტი ჰქვია. ფეხით რომ ახვიდე ზემო სართულში, ერთი საათია საჭირო. ამ ცაღმბჯენში არის აბანო, სადალაქო, სახარაზო, ბაზარი, კინო, თეატრი, ბაღი, სამკითხველო, რადიო, რესტორანი, ერთი სიტყვით, ეს ცაღმბჯენი მთელი ქალაქია.



6. მონვალერიანის  
შუქურა

ჩვეულებრივად შუქურას ზღვის პირას აშენებენ, მაგრამ ყველაზე დიდი თანამედროვე შუქურა ზღვის პირას როდია გაშენებული, არამედ პარიზის ახლოს, მონვალერიანის გორაზე. ეს შუქურა გზას უნათებს ღამით ჰაერობლანებს. შუქურაზე დადგმულია 2 უზარმაზარი პროექტორი. პროექტორის ძალა მილიარდ სანთელს უდრის და იგი დღესავით ანათებს ღამით. ეს სინათლე ისეთი ძლიერია, რომ შუქურაზე მომუშავე მუშები შავმინებიან სქელ სათვალეებს ატარებენ. შუქურას სინათლე რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მოჩანს.



ამნაირად, მსოფლიოს შვიდ ახალ საკვირველებაში სამი ჩვენშია აგებული — საბჭოთა კავშირში. და კიდევ ბევრ ახალ საკვირველებას ააგებს საბჭოთა კავშირი, რადგან იგი ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ძლიერი ქვეყანაა.

კანადონი

## შ ი ს ო

ფისო და ფაზა

დღემდე ფეფოს ფაფა მოუძულა და ღამბაქით მაგიდაზე დაუდგა. ფისოს სუნი ეცა, მაგიდაზე სწრაფად შეხტა და ტუჩი ღამბაქში ჩაყო. ფეფომ ფისოს თავში ჩაპკრა: ღამბაქიდან ფაფის პირით თქლაფვა ვის გაუგონია, თუ გნებაეს, კოვზი მოიტანე და იმით მიირთვიო.

ფისო და ქეთო

დღემდე ქეთო კაკანში ჩააკრა და დააძინა, თვითონ სადილის დასამზადებლად სამხარეულოში გავიდა. აკვანი რწვევას განაგრძობდა და არტახის ზორტის ბოლო აკვნის ზემოთ ქანაობდა. იქვე ტახტზე ფისო იწვა. ზორტის ქანაობას ცუდლუ-

ტმა თვალი მოჰკრა და მისი დაჭერა განიზრახა. უცებ ლოგინიდან ისკუბა და ქეთოს გულზე შეახტა. ქეთოს გამოედვიდა და ღრიალი მორთო. ფისუნა სრულებით არ მოელოდა ასეთ ამბავს. ზორტს თათი უშვა და მტრალ ქეთოს გაკვირვებით შესცქეროდა. გულგახეთქილი დედა ოთახში შემოვარდა და ქეთოს გულზე რომ ფისო დაინახა, გამწარებით დაუცაცხანა. შემინებული ფისო აკვნიადახ გადმოხტა და ფაცხაფუცხით ტახტქვეშ შევარდა.

## მურდი ფისუნია

დედამ დილით კარაქი შედღეობა, მინის პატარა ქილაში ჩაასხა და კარადაში შედგა; დარიკოს კარადიდან ქიქა გამო-

ელო და კარი ღია დარჩენოდა. ფისომ რომ ოთახში ვერავინ დაინახა, კარადში შეხტა და კარაქს ქაშა დაუწყუცუცა. კარგად მიამღა, ქილიდან თავის ამოკვება დააპირა, მაგრამ ქილა თავზე ისე მაგრად წამოცმოდა, რომ თან აპყვა. ციციუნიათ თავი აქეთ-იქით გააქნია, მაგრამ ქილა ვერ მოიშორა. ბოლოს კარადიდან ძირს გადმოხტა. ქილა იატაკს რომ მოხვდა, დაიმტვრა. ხმაურობაზე ოთახში შემოვარდენ, მაგრამ ქურდი ფისუნია უცებ გავარდა და თავს უშველა.

იასონ ნიკოლაიშვილი

## დედამანია

— კრახ, კრახ, კრახ, — მოქაქანებს დედამანია, მას მოსდევს ოცდახუთი ახალგაზრდა მონკილი ყვითელი წიწილა. დედამანია ხან წინ გარბის მტრის შესახვედრად, ხან უკან მოიხედავს... კრახ, კრახ... მოდიო, მოდიო! — ფძახის თავის შვილებს. როგორც კი წიწილები ირგვლივ შემოეხვევა, კვლავ გარბის ფრთებაფხორილი; კისერწაგმელებული, ბრქვალებმომართული, მზადა ყველას ეცეს, ვინც კი გზაში შემოეფეთება. თვალი მოჰკრა ციციუნიას. „ფზრ“ — დაიძახა, ეცა მას, უნდოდა თვალები ამოეკაწრა.

— ფუი! — მიაფურთხა ციციუნია: რამ გაგაგოა?

— ხომ ხედავ შვილები მომყავს, რად მიხვდები გზაში, გინდა მომპარო?

— ვის რა ჯანდაბად უნდა შენი კოლო-წიწილები!

ერთი შეუკურთხა და გადახტა.

ახლა მურიკამ ჩამოიარა, მასაც ცხვირპირში ეცა.

— ჰაიტ! დაიკარგე! მე ვწყვსაყ ყველას და ყველაფერს, შენ კი მე მეჩხუბები?! ესეც მოშორდა.


დაინახა ზანტად მომავალი მაშკა, ამასაც მივარდა. მაშკამ ცხვირი მალდა ასწია, გავა ნელა შეანძრია, თითქოს ბუზი მოიგერიო, ხმა არ გასცა და ხელი ნაბიჯით გაუდგა თავის გზას.

დედამანია სახტად დარჩა. ამ დროს მეზობლის ქალმა გამოიარა პატარა ბავშვით. პატარას ძლიერ მოეწონა ოქროსფერი წიწილები. ხელი გაუწოდა, თითქო უნდა დაიჭიროსო. დედამანია მივარდა ბავშვთან, უნდოდა სცემოდა.

— იქით, შე სატურე! — ხელი აუქნია ქალმა, წიწილა დაიჭირა და ბავშვს მიუყვანა.

— დედა, ლა კალგი ტუტულია. ლა ლამაზი! წაეპოტინა, უნდოდა თვითონ აეყვანა, მაგრამ დედამ არ დაანება.

— შვილო, ხელს მოუქერ და მოკვდება! თვითონ ხელისგულზე დაისვა. ბავშვი ეალერსებოდა, ხელს უსვამდა, ხან



თვალეზში შეჰყურებდა. დედამანია შორიახლოს დადგა, შეოთავდა, თვალი წიწილისაკენ ეჭირა, არაფერი აენოსო. წიწილა ფრთებს შლიდა, წიაკობდა, დედისკენ იწვევდა. ქალმა წიწილა დასვა დაბლა და გაშორდა. დედამანია კრიახით მივარდა და წაიყვანა. ამ დროს მოზრდილმა წიწილმა ჩამოიბრინა, დედას ეძებდა. დედამანიამ ამასაც შეუტია, ნისკარტი თავში ჩაჰკრა. საცოდავი წიწილა წიავეწიავით გაიქცა.

— ფუი, გრცხვენოდეს! — ჩამოსჭიკჭიკა ზემოდან მერცხალმა: მაგან რალა დაგიშავა?

— ევ საკმელში შეეზიარება ჩემ შვილებს, ხომ ხედავ, რამდენი მყავს, განა ამათ ცოტა ეყოფათ?!

— მიკვირს, — ჩამოძლულუნა სახურავიდან მტრედმა, — რატომ ეჩხუბები ყველას?

— რატომ ვეჩხუბები?! — გაიკვირვა დედამანიამ. — ხომ ხედავ, რამდენი შვილი მყავს! არ ვიჩხუბო? ახლოს მიუღუშვა მტერი? ხომ დავიღუპე, ხომ დამეკარგა შვილი! უნდა გავაგებინო ყველას, რომ ამ პატარებს პატრონი ჰყავს, მაგრამ შენ და მერცხალი ვერ გაიგებთ ჩემ გულის ტკივილს, ორი რალაცა ბარტყი გყავთ, მათ ფრთები თავს დამალავთ და მტერს თვალეზს აუხვევთ.

— ცდები, ჩემო მეზობელო, — უპასუხა მერცხალმა, — ჩვენ ხან ოთხი, ხან ხუთი ბარტყი გყავს, მათ ფრთებით ვერ დავფარავთ, მტერი მენზე ნაკლები არა გყავს, ციციუნია შენ წიწილებს იშვიათად ერჩის: პატრონის ეშინია, დაინახავს და შავ ღელს დააყენებს, ჩემსას ან მტრედისას კი სახურავში ვინ დაინახავს? როდესაც საკვების საშოვრად მივიღივარ, ციციუნია ან ვირთავვა მოიპარავს. მე მხოლოდ ის მინდა გითხრა: როცა შენ წინ გარბიხარ საჩხუბრად, წიწილები უკან გრჩება, შეიძლება მათ მივპაროს მაშკა,

რომელმაც შენი შემოხედვაც არ იკადრებ, და სამი-ოთხი ერთად გადაყლაპოს. ან ვინმემ გასაროსოს. რას გაიგებ? — ეს მტერი ზურგს უკან ხდება. ვერც მერმე გაიგებ: თელა არ იცი.

— მაშ როგორ მოვიქცე? — შეეკითხა დედამანიამ.

— მართალია, შენ პატრონს უნდა რაც შეიძლება მეტი წიწილა გამოჩეკო, მაგრამ ბევრს შენ ვერ ერევი, ამიტომ სჯობს ყვერულს მიაყოლო: ის შენზე დიდია, ბევრად შენზე უკეთესი მხედველობა აქვს, სუფთაა, არავის ეჩხუბება. შენ რომ სხვისი წიწილი შემოგვრიოს, თავს გაუხეთქავ, ის კი ყველას ერთნაირად ეპყრობა, არ გარბის მტრის შესახებდრად, დინჯად დადის, წიწილები ირგველივ ახლავს, ვერ უბედავენ ხმის გაცემას, და თუ ვინმემ წიწილისაკენ მიიწია, ისე მძლივრად ჩაჰკრავს ნისკარტს თავში, რომ ბედს აწყველინებს. ერთი სიტყვით, შენ დედალი იყავი, კრუხობა კი მას მიანდევ.

— ჯი-ჯი... ჯი... ჯი... დედა მანია, სადახარ? — დაუძახა დიასახლისმა და ღომის მარცვალი გადმოუყარა.

— მე თქვენი ლაყბობის თავი არა მაქვს, — უქმეხად უპასუხა დედამანიამ, წიწილებს დაუძახა და სახლისაკენ გაქანდა.

— რა შეუფენებელია! — ჩაიღულუნა მტრედმა. — მაგას ვერაფერს შეასმენ.

— ვგონებ, პატრონი მალე მოარჯულეებს მაგას. მე ყური მოვკარი, ახალი წესი უნდა შემოიღონ: წიწილებს ყვერული მოუვლის, როგორც გურიის-სამეგრელოში იციან, ასეც აჯობებს. წიწილებიც უფრო კარგად მოვლილი იქნებიან და კვერცხებიც მეტი ექნებათ.

ამ აზრზე შეთანხმდენ მერცხალი და მტრედი და კრუხს თავი მიანებეს.

ქრა არ იცის,  
კბილს კი მოგკვეთს,  
მწვანედ ბზინავს მზეზე ..  
რამდენიც გსურს  
იმდენს დაკრეფ,  
თუკი ახვალ ხეზე.

\* \* \*

გამოცანას მოგახსენებ,  
სულ არ არის ძნელი:  
ულვაშები არ ასხია,  
გრძელი კი აქვს წვერი;  
ეშმაკია მეტისმეტი,  
ვინ იცის, რას ჩადის...  
კლდე-ღრეგებში არხვინად  
დაპოტინობს, დადის.

მალლიდან<sup>\*</sup> ხშირად გვეწვევა<sup>\*</sup>  
თეთრი პებელა ფრენითა,  
იგი იმ წამსვე დადნება,  
თუ შეეხები ხელითა.

\* \* \*

სიხარული არ იცის,  
არც ფეხი აქვს, არც ფრთები,  
ამას არ ეშორება  
არც ზღვები და არც მთები.  
აგერ მზეს ესტუმრება,  
ეგერ ცის დასავალსა.  
ერთ წუთსაც არ უნდება  
სამოცი დღის სავალსა.

შ. თაბუჯაშვილი

## თ ხ ა ღ ა გ ი გ ლ ა

(ახალი აღმზულია)

გიგლას ჰყავდა ერთი თხა  
წვერება და კუნტრუშა,  
ყელში ისე ხაოდა,  
თითქოს სჭირდა კუნტრუშა.  
მსუქნად იყო გიგლას თხა,  
გაბერული ტიკივით.  
თამამობდა ყველასთან,  
ტრიალებდა თითივით.  
გიგლა იყო ზარმაცი,  
კითხვა ეჯავრებოდა,  
სიზარმაცის გულისთვის  
ყველა უჯავრდებოდა.  
გიგლამ თქვა: — მოდი და  
ეშმაკობას ვიხმარებ,  
ბეჯითს დამიძახებენ,  
ჩემი გულიც იხარებს.  
გადაშალა წიგნი და  
დაჯდა შარავზახედ,  
გამელელ-გამომვლელებსა  
თვალი დარჩათ მასზედა.  
მამამ ქება შეასხა:

— ყოჩაღ, ჩემო ქინქლაო!  
სხვები გაიძახოდენ:  
— ვაშა, ბიჭო გიგლაო.  
გიგლას წიგნის „კითხვაში“  
ტკბილად ჩასძინებოდა,  
შორიახლოს მისი თხა  
ბალახს იკიენებოდა.  
გიგლა რომ დაინახა  
წიგნზე თავჩაქინდრული —  
საჭიდაოდ მიწვევსო  
ეს უქნარა უძლური.  
თავი მალლა ასწია,  
რქები შეათამაშა  
და კუნტრუშით გიგლასკენ  
გაეჭანა ერთბაშად.  
თავით შუბლზე ეტაკა,  
ქული გვერდით გაგორდა,  
და ზარმაცი მძინარა  
იქვე ხევში ჩაგორდა.

ქ. რაბინაშვილი



ზაფხულის დილაა.  
მოწმენდილ ცაზე ღრუბლების ნაგ-  
ლეჯიცი კი არა ჩანს...

მზე ნელა ამოდის დიდრონი მთების  
იქით და აფრქვევს თავის მოგელვარე ოქ-  
როსფერ სხივებს მთის მწვერვალებზე.  
პატარა ფიროს ცხვრები ჰყავს მინდორ-  
ში, ახლა იგი პატარა მწყემსია. დამშეუ-  
ლი ცხვრები ხარბად ძოვენ ნამიან ბა-  
ლახს და მძიმედ მიჰყევიან ფერდობს.

ფირო დაპყრდნობია კვიანჯოხს და  
შხის ამოხვლას მისჩერებია. მისი მგვო-  
ბარი და ერთგული ცუგა იქვე ახლოს  
ნამიან ბალახზე გორაობს. თუ ფეხის  
ხმა გაიგონა, ყურებს აცქვეტს და დაი-  
წყებს ყეფას იმ მიმართულებით, საიდანაც  
ხმაურობა მოესმის.

ფირო ვერ ამჩნევს ცუგას თამაშს: ის  
დაფიქრებული მისჩერებია უსაზღვრო  
სივრცეს და უკვირს, თუ რა დიდი ძალა  
აქვს იმ ერთი შეხედვით პატარა ბურთს,  
რომელსაც მზეს ეძახიან.

ოხ, ნეტავი ახლოს მაჩვენა, როგორი  
მოყვანილობისაა და რას წარმოადგენს!  
მაგრამ ახლო როგორ მივალ, მასწავ-  
ლებელმა გვითხრა მზეს ახლო ვერავინ  
მიუდგებაო.—ამ ფიქრებშია ფირო გარ-  
თული და ვერ ამჩნევს, თუ როგორ  
შორდებიან ცხვრები თანდათან.

ფირო თორმეტი წლის ბიჭია, წელს  
მეოთხე კლასში გადავიდა. სულ ფრია-  
ლები ჰქონდა. მას აინტერესებს და იზი-  
დავს განსაკუთრებით ბუნება და მისი  
სიმშვენიერე. ცხვარში სიარულიც ამი-  
ტომ უყვარს, რომ მინდორში უფრო  
შეიძლება თავისუფალი ნავარდი და ოც-  
ნება.

ფიროს უყვარს ლიტერატურა. ზები-  
რად იცის ის ლექსები, რაც კლასში ის-  
წავლა. სხვადასხვა პატარ-პატარა საინ-  
ტერესო წიგნებსაც ვადაიკითხავს ხოლ-  
მე, თუ ხელში ჩაუვარდა. რაზმში აქტი-  
ურ პიონერად ითვლება. საყვირს სალა-  
მურივით ხმარობს. სალამური ახლა ჩან-  
თაში აქვს შენახული და მაშინ დაუკ-  
რავს, როდესაც ცხვარი ხის ქვეშ დაეყ-  
რება.

მზე საშუადღეო წერტილს გაუს-  
წორდა.

დაცხა...

— ცხვრებს ახლა ჩრდილი უნდათ,  
თუ არა დაისიცხებიან, — თქვა ფირომ და  
ცხვრები ზევით შეაბრუნა. ცხვრები ქო-  
ჩინით ძოვენ ბალახს და მძიმედ შესდე-  
ვენ ფერდობს.

დალლილი ცხვრები რამდენიმე ხნის  
შემდეგ შრიალა ცაცხვის ქვეშ დაეყარ-  
ნენ.





პატარა მწყემსიკ იქვე დაჯდა. ცუგა კი ვერ ისვენებს. აქეთ-იქით დარბის ენა-გადმოვარდნილი, ბუზები არ ასვენებენ, ხან გადავორდება, ხან გადმოვორდება, მაგრამ მაინც არ ეშვებიან ბუზები, უფრო უღიტიანებენ და აბრაზებენ პატარა ცუგას. ბამბურა კუდს აქნევს აქეთ-იქით, მაგრამ ვერასგზით ვერ იშორებს იმ ავაზაკებს, რომელნიც ასე აწვალევენ.

— მოიცა, ცუგა, ცოტა კიდევ პურს შევჭამ და მერე წავიდეთ საბანაოდ. — მიმართა ფირომ და ერთი დიდი ნატეხი პური გადაუჯდო ძაღლს.

ჭრიჭინა ხეზე იბერება ჭრიჭინით. შეუსვენებლივ ჭრიჭინებს. ფიროს სურს ცოტა ჩაიძინოს, მაგრამ რა დააძინებს ჭრიჭინში.

— წამო, ცუგა, მე უკვე მივდივარ! — ცუგა ძუნძულით დაედევნა პატრონს. ჩავიდენ: რიყეში. მდინარის კრიალა, მორაკრაკე ზვირთები ერთიმეორეს აწყდება. ფირომ ტანთ ვახიდა და მდინარეში გადაეშვა. წყალი ბავშვს მუცლამდის შემოსწვდა. ესამოვნა გრილი წყალი.

— ვიშ, რა კარგია ბანაობა! — თქვა და ჩაიყურყუმალა.

ცუგამ ვერ მოითმინა და ისიც გადახტა წყალში, გაკურდა და ნაპირში გავიდა გაწყუმალული.

— გეყოფა, ცუგა, ცხვრებთან წადი, არსად წავიდენ, მეც მალე მოვალ.

გაწყუმალული ცუგა გაიქცა და ცხვრებთან დაწვა. გაგრილდა. ბუზები აღარ აწუხებენ.

ფიროს გაუტკბა წყალში ყოფნა. ამოსვლა აღარ უნდა, მაგრამ აგერ თითქოს ფეხზე რალაც შემოეხვია ცივად.

— ვაიმე, დედავ, გველი! — დიაცყირა და წყლიდან ამოხტა. დაიხედა ფეხებზე, მაგრამ ვერა შეატყო რა, ხოლო მარჯვენა ფეხის წვივი ეწვის, გაკაწრული აქვს სიგრძეზე.

— უთოოდ მიკბინა, მოვიშხამები! — თქვა და ცრემლები გადმოსცვივდა.

ტანთ ჩაიკვა. ფეხს ჯერ არ იცვამს: უნდა კიდევ დააკვირდეს და გაიგოს, ნაკბენია თუ არა.

— მე გამიგია, გველის ნაკბენი უნდა გაშავდესო, ეს კი წითლადაა. ვიცი თუ: თანდათან გაშავდეს და მოვიშხამო. მშაგვ რამ მოიცა, მასწავლებელმა ხომ ისიც გვითხრა: წყლის გველი აღამიანს არ შხამავსო...

მაშ არც მე მოვიშხამები, მეც ხომ წყლის გველმა მიკბინა. — ფირომ ამით-ლა დააიშვდა თავი და ფეხთ ჩაიკვა.

მზე აუჩქარებლივ მიემართება დასაყლეითისკენ, თითქოს არ უნდა მოშორდეს ბუნების სიმშვენიერესო. საღამოხანია. გრილმა სიომ წამოუბერა. ცხვრები აიშალნენ და დაუწყეს ბალახს ძოვა. ახლა ისინი მადიანად ძოვენ...

მეცხვარე ფიროს აღარაფერი აინტირისებს. დაღონებული ფიქრობს: „ვამ თუ მოვკვდე... თანდათან უფროდაუფრო მეწვის წვივი. რა ვქნა... იქნებ მომკლას კიდევ ამ ტუკვილმა... „სანამ მე მოვკვდები, იმ გველის მოკვდავ უეკველად! მაგრამ იმ საზიზღარის მოკვლამდის ვამ თუ მე მოვკვდე? მოდი წერილს მაინც დავტოვებ, წერილში ჩაეწერ, რომ მე ბანაობის დროს მიკბინა გველმა და ჩემი სიკვდილიც აღბათ მისი შხამის ბრალია“.

მოიმარჯვა ფანქარი და დაიწყო წერა... ფირო წერდა, პატარა ხელი შიშით უკანკალებდა, გული უძგერდა და სიმწრის ოფლს ასხამდა. დაამთავრა წერილის წერა და ჩანთას გარედან დააკრა, რომ უფრო ადვილად დაენახა ყველას. შემდეგ ისევ გველის მოკვლის საქმეს შეუდგა... მივიდა მდინარესთან, ჩაიხედა შივ და დანიხა — რალაც შავად ტრიალებს წყალში.

— აღბათ ისევ აქ არის! — თქვა და ჯოხი მოიმარჯვა. მალლა ამოვადებე კავით და ისე მოვკლავ, — გაიფიქრა ფირომ... დედავდა და თან შიში იტანდა!

„ვამ თუ წყლიდან ამოვადების შემდეგ ვერ მოვასწრო ჯოხის დაკვრა და მეორედ დამკბინოს... ფიროს აღარ გაუგრძელეზია... ჯოხი პირდაპირ იქით გააქანა, საღაც ის მოჩანდა... და თან მალევე უკან



ამოსწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწაზე გადმოისროლა, თანაც ჯოხიც დაარტყა რამდენიმეჯერ, რომ არ გაქცეოდა... უცებ ფიროს პირი ღია დარჩა გაკვირვებისაგან: გველის მაგივრად კაკლის შოლტი ეგდო მიწაზე... „ვაი, რამდენი შიში მაქვამა ამ ოხერმა! ესეც კარგია, ამის შემდეგ ციება აღარ მომიდგება“ — ამბობდა ფიროს გულში და თან ბრაზობდა, რომ ასე მოტყუებული დარჩა... „მაგრამ არა უშავს... შოლტი არ მქონდა და უკვე მექნება. ხშირად მომაგონდება ეს სასაცილო ამბავი... ჰო, ეს ასე, მაგრამ კანი რამ გამოიკურა? შეშინებული რომ ამოვხტი, კლდეზე პირიანი ქვა იქნებოდა და ის გამოიქრდა“, — თქვა ფიროს და ცხვრებისკენ გაეშურა.

მზე ჩასული იყო. ბინდი ნელ-ნელა ეფარებოდა არემარეს. საღამოს ცელქი სიო თავისუფლად დაქროდა ველ-მინდვრებზე.

## ცხელი ღელე ტყეში

მზემ ამოსვლის უმაღლესხვედ დააფრქვია თავისი სხივები მიდამოს. ტყის ბნელ წიაღშიც ჩაიჭრენ მისი კოხტა სხივები. ფოთლების ჩრდილი ყავისფერ მიწაზე ათამაშდა. ახლადამოხეტოილი სოკოები ნაწვიმარზე მზეს მოერიდნენ.

მზე თანდათან გასწორდა ცაზე. ჩამოცხა. ჰაერში სიციხე დატრიალდა. ტყეშიც მიწყდა ხმაური. მოხალისე და დაუცხრომე-

— ახლა კი წასვლის დროა — თქვა ფიროს და ცხვრები შინისაკენ გარეკა. ცუცუკული სუნით მიცუნცუნდებდა მისი გაუსწრებდა ცხვრებს, ხან ჩამორჩებოდა, მასაც უხაროდა შინ დაბრუნება. ფიროს ისევ ის ამბავი აგონდებდა, ფიქრებშია გართული. ისე შერევა ცხვრები ეზოში, რომ ვერ გაიგო მისვლა, სანამ ამ სიტყვებმა არ გამოიყვანა ფიქრებიდან: „შენ კი გენაცვალე, ჩემო ცუცუკა, პული ხომ არ მოგშვიდა? სად ალი ფილო, ლათ დაიგვიანეთ, გენაცვალე!“ — ეალერსება პატარა მარო ცუცუკას და ხელს უსვამს თავზე. ფიროს დის ხმა იცნო. ახლ-ღა გამოერკვა ფიქრებიდან, ცხვრები ფარეხში შერევა, კარები მიუხურა და სიცილით შევიდა სახლში.

— რათ დაიგვიანე, შეილო, აქამდის? — შეეკითხა მამა ფიროს.

— ცხვრებს ნელა მოვერეკებოდი და აღბათ იმიტომ დამაგვიანდა — მიუგო ფიროს.

ცოტა ხნის შემდეგ ფიროს დედამ სუფრა გაშალა... ყველანი ტკბილად შეეკცოდნენ ვახშამს. ფიროს მალნიად ილუქმებოდა და თან დღევანდელ ამბავს უამბობდა მშობლებს. ეცინებოდა ყველას, უფრო მეტს კი იცინოდა ფიროს პატარა და მარო.

დავით ხარიაშვილი

ლი ფრინველები შეჩერდნენ. ტყე გაინაბა. ხეები სიციხისაგან აისუტნენ, ფოთლების განძრევაც კი ეხარებოდათ. სიჩუქეა მყუდრო, ზანტი. ისმის მხოლოდ დაუცხრომელი ხარაბუხას ბზუილი და ჩუმი, შრომის-მოყვარე ქიანქველები ირვიან.

„როგორ დაცხა!“ — ფიქრობდა ენაგად-მოგდებული, სიციხისაგან დაოსებული მელიკო, რომელიც ჩაცუტულიყო და აბეზარ ბუზებს კბილებს უხრქიალებდა.

— სად წავიდე ახლა? ის ოხერი ბატის ქუეები ახლა წყალში ეყრებიან, რამდენიც გინდა ვუარო, ნაპირზე ვერ გამოვიყვან!

მელიკომ თავი ხანტად გადააქნ-გადმოაქნია. აბეზარ შავ ბუხს კბილებით სწვდა, გაქულიტა, ხარმაცად წამოღდა და თქვა:

— უჰ, როცა ასე ჩამოცხება ხოლმე, ოხერი ქურქი როგორ მაწვალებს... ამ დროს ყოველთვის მშვიერი ვრჩები, ჩემი ეშმაკობა ახლა სად გამივა, თუმცა მარდი და მოხერხებული ვარ. ჩემი ონაერობით მთელი ტყე აკლებული მაქვს. აჰ, ეს ქურქი არ მაწუხებდეს! არ ყოფილა კარგი ზაფხულში ასეთი ხშირბეწვიანი ქურქი!

ამ ლაპარაკში იყო მელიკო, რომ პირზედორბლმორეულმა რუხმა მგელმა ჩამოუარა. მელამ ეშმაკურად კუდი გაისწორა, მგლისკენ მიიწია და ჰკითხა:

— რა იყო, ზამთარ-ზაფხულ მშვიერი დაეხეტები?

მგელმა ამღვრეული თვალით შეხედა, მაგრამ ეშმაკ მელას მაინც ზრდილობიანი პასუხი მისცა.

— მეც შენს დღეში ვარ. ვერა ხედავ, სიცხემ მომკლა, თორემ ტყის პირში, წვრილიანში ისეთი ვაცია გამობმული, რომ...

არ დაამთავრა. თვალები გადაკარგულად მსუნავს მართლაც ვაცი წარმოუდგა. პირი დორბლით ავესო. მელას გავეტენა.

— მჯერა, ეგრე იქნება! იმიტომაც მომძებნე ამხანავად, არა?

ამ დროს შეშინებული მელიკო უკან იწვედა, აქეთ-იქით თვალებს დაფეთებული აცეცებდა.

კუდიანმა მელამ თვალი მოჰკრა წიფლის ძირში ჩამოვარდილ ბარტყს. გაექანა, პირი დაავლო. ის რომ მგელმა დაინახა, მელას დაცინვა დაავიწყდა და უფრო ტკბილად უთხრა:

ჩემი თავი გენაცვლება, ჩემო კარგო ნათლიდედა. მოდი შვილებს დაგილოცავ, თუ ბარკალი მე მერგება.

მელიკომ, რომელსაც პატარა შვილები მშვივრები ეგულებოდა, ასეთი პასუხი მისცა:

— უკაცრავად, ნათლიმამე! ჩემ შვილებსაც არ გასწვდება, შენი დარდი მე არა მაქვს, წადი, თვალიმც დაგიდგება!— და თვალის დახამხამების უმაღლ მოკურცხლა სოროსკენ.

თ. ჩაქაძე

# ლომი

ვის არ გაგიგონიათ ლომი. ბევრს თქვენგანს იგი წიგნში გამოხატული გინახავთ, ზოგიერთებს ტფილისის ზოობარკში, ამიტომ ახლა, როცა თქვენთან ამ ცხოველზე საუბარს ვიწყებთ, ვიცი სმენად გადაიქცევით და ყურს დამიგდებთ.

ლომი ძლიერი და ღონიერი ვარეული ცხოველია. ის თითქმის ძროხის ოდენაა, ცოტა დაბალი და მოქნილი ტანი-სა. ერთფეროვანი ყვითელი ბეწვებით

არის შემოსილი. კისერი, თავი და მხრები სქელი ფაფარით აქვს დაფარული. ლომების სამშობლო აფრიკა და აზიის სამხრეთ განაპირა კუთხეებია.

ძუ ლომს მთელ თავის სიცოცხლეში წლეკვის შობა შეუძლია ახალდაბადებული ლეკვი შინაური კატის ოდენაა. მას ღია თვალები აქვს. ძუ ლომი ამ დროს მეტად საშიშია. ის მზრუნველობით დასტრიალებს ლეკვს და მშობ-

ლოური სიყვარულით იცავს შესაძლებელი საფრთხისაგან.

ლომი დღისით იმალება, ღამით გამოდის სანადიროდ და თავისი ღრიალით თავზარსა სცემს პატარა ცხოველებს. ის თავს ესხმის როგორც ცხოველს, ისე ადამიანს. განსაკუთრებით უყვარს თბილი სისხლი. თავის მსხვერპლს ლომი გადახტომით ესხმის თავს ისე, როგორც კატა თავს. ის რამდენიმე მეტრის მანძილზე ახერხებს გადახტომას, სხვანაირად ლომი თავის მსხვერპლს ვერ იჭერს. დიდი უბედურებაა, თუ შეუიარაღებელი ადამიანი საღმე უეცრად წააწყდება ლომს. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს იგი? კარგად გამოცდილი მონადირეების აზრით, ამ დროს გაქცევა თავის დაღუპვას უდრის. მაშ როგორ უნდა მოიქცეს? უსათუოდ უნდა შედგეს, მთელი სიმაძაყე და მხნეობა გამოიჩინოს, რომ უძრავად მდგარი პირდაპირ თვალეებში შეუპოვრად მიაკვრდეს მხეცს.

ჩვენ არ უნდა შევიზინდეთ, რომ ის ჩვენებს მოიპარება ან გადმოსახტომად ჩაჯდება. ჩვენთან ის ვერ მოვა ისე, თუ ვერ გადმოხტა, ხოლო თუ ჩვენ აღნიშნულ მდგომარეობას შევინარჩუნებთ, ის გადმოხტომას ვერ გაბედავს. ადამიანის უძრავად აღმართული სხეული მას შიშს და საფრთხეს შთაგონებს. ლომს იმაზე ნაკლებად არ ეშინია ადამიანის, რამდენადაც ადამიანს ლომისა. ლომი, რომელსაც არ განუცდია ადამიანთან ბრძოლა, ასეთ პირობებში თანდათან კარგავს ნდობას და რწმენას საკუთარ ძალისადმი. ბოლოს საჭიროა ადამიანმა ანგარიშიუცემლად ნაბიჯი გადადგას ლომისაკენ. უკანასკნელი მყისვე უკან დაიხვეს და გასაქცევს გზას დაუწყებს ძებნას, თავის საშველად მოკურცხლავს.

„შეუძლია თუ არა ლომს ადამიანის მეგობრობა?“ — შეიძლება დაგებადოსთ კითხვა.

მოგიყვანთ ორ მაგალითს, რომელიც პასუხად გამოდგება.

ერთხელ ერთი კაცი შემთხვევით ლომის ქვაბურში მოხვდა. უეცრად, როცა ლომი თავის ბუნაგში დასახტინავეკმლად ბრუნდებოდა, თავს წააწყდა ადამიანს. ლომი ფეხში დაჭრილი იყო და სისხლი მოსდიოდა ქრილობიდან. მხეცი არ მივარდა ადამიანს გასაგლეჯად, პირიქით, მიუახლოვდა მას და დაჭრილი ფეხი გაუწოდა. კაცი მიუხვდა, რომ ლომი დახმარებას სთხოვდა. მაჩ მყისვე შემოიხია პერანგი და ლომს ფეხი შეუხვია. კაცმა დაუწყო ლომს მკურნალობა და მალე მოარჩინა. ლომი და კაცი დამეგობრდნენ. გავიდა ხანი. დაიჭირეს ეს კაცი ტყეში და ერთ ქალაქში მხეცების პატრონს მიჰყიდეს. ერთ დღეს ეს კაცი მხეცების პატრონმა გალიაში გამჭვივარებულ ლომს ჩაუგდო შესაქმელად. მაგრამ უეცრად ისეთი ამბავი მოხდა, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო. ლომმა არამც თუ გაგლიჯა ადამიანი, არამედ მეგობრულად მიუახლოვდა და ლოკვა დაუწყო. კაცმა იცნო ძველი მეგობარი ლომი, რომელიც მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილიყო. ადამიანისა და ლომის მეგობრობა იმდენად განსაკვიფრებელი აღმოჩნდა, რომ მხეცების პატრონმა ორივე გაათავისუფლა ტყვეობიდან. ამის შემდეგ კაცი მშვიდად დაატარებდა ლომს ქალაქის ქუჩებში და დიდძალ ფულს კრებდა ცნობისმოყვარე მაყურებლებისაგან. კიდევ უფრო საინტერესო ამბავს მოგვითხრობს გერმანელი მწერალი ლენცი:

გაბეღული ფრანგი რაინდი ვალტერ ტურელი ცხენით მიემგზავრებოდა უდაბნოში. უეცრად მას შორიდან მოესმა გულისშემალონებელი კვნესა. ალბათ — გაიფიქრა ვალტერმა — ვინმე მოგზაურს თავს დაესხნენ მეკობრეებო (ყაჩაღები) და გაექანა, საითკენაც ხმა ისმოდა. უეცრად მან სიბნელეში ვეღარ გაარჩია და ცხენით ჩახტა დიდ ორმოში. ძირს მას საშინელი სურათი გადაეშალა. ერთის მხრივ იდგა ძლიერი, გაბრაზებული ხედი ლომი, რომელიც თვალეებიდან ნაპერწყლებს ყრიდა, მეორეს მხრივ, მის პირისპირ საომრად

გამზადებული არაჩვეულებრივი დიდი გველი. ვალტერმა საჩქაროდ მოზიდა მშვილდი და ისე მარჯვედ სტყორცნა გველს, რომ უკანასკნელი შუაზე გაგლიჯა.

როცა ლომმა საშიშარი მოსისხე მტრისაგან თავი გათავისუფლებულად იგრძნო, მხედარს მეგობრულად მიუახლოვდა, მოკრძალებით ცხენზე აღიმართა და ხელებისა და ფეხებ ის ლოკვა დაუწყო. ამის შემდეგ ლომს არ დაუტოვებია ვალტერი. დასდევდა მას, როგორც ძაღლი.

გაბედულმა რაინდმა ვალტერმა ბევრი საგმირო საქმის გაკეთების შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო სამშობლოში. იგი გემით უნდა გამგზავრებულიყო საფრანგეთში. სამწუხაროდ, არცერთმა გემის პატრონმა არ ისურვა ვალტერთან ერთად მისი ლომი ჩაეყვანა გემში, თუმცა ვალტერი ამისთვის ორჯერ და სამჯერ მეტს საფასურს იძლეოდა. რაკი სხვა ვა-

მოსავალი არ იყო, ვალტერი იძულებული გახდა სირიაში დაეტოვებია ლომი. როცა ვალტერის გემი მოსწყდა ნაპირს, სირიაში საშინელი მოუსვენრობა დაეტყო. ის ბორბავდა, აწყდებოდა ნაპირს, ღრიალებდა, ღმუოდა შემადონებელი ხმით. დასასრულს, როცა ვალტერის გემი ნაპირს საკმაოდ მოშორდა, ლომმა დაკარგა გონი და გადაეშვა ზღვაში, რომ ცურვით გაპყლოდა საყვარელ მეგობარს. როცა ხომალდში ლომის მოქმედება შეინიშნეს, შეებრალათ უჩვეულო ლომი და სწრაფად მოაბრუნეს გემი ლომის თან საყვანად. ის ის იყო გემი უახლოვდებოდა ლომს, რომ საბრალო ცხოველმა ცურვისაგან დაკარგა ღონე. მან უკანასკნელად მოასწრო თავისი ერთგული, ჭკვიანი მოსიყვარულე თვალეზი მოველო პატრონისთვის და ზღვის უფსკრულში ჩაიძირა.

თ. თოკაძე

# ბავშვთა შეროქმელება

## ჩვენი ფისო

ზარმაცია ჩვენი ფისო,  
ფეხს არსად დგამს, ცეცხლთან გდია.  
აჰა, ჰკითხეთ ამ ჭკუათხელს,  
თავი მასთან ხომ არ მივა.


სულ „მიაუს“ გაიძახის,  
კულსაც იქნევს წარამარა,  
ჩვენი ვანო ხშირად ტუქსავს:  
„ადე, ფისო, წოლა კმარა“.

ერთხელ ჩვენმა ცელქმა ვანომ  
ეს ოინი უქნა ფისოს:  
თიხის ჩიტი მიუტანა,  
ფიქრობს: „ეგებ მახ ვერ იცნოს“.

ვნახოთ—ფისომ თვალი ჭყიტა,  
თავის გულში იწყო მღერა.  
თითქო, აჰა, გაიზმორა,  
„ჩიტუნის“ დაეძგერა.

მაგრამ ვაი მისი ბრალი:  
კბილი მაგარ თიხას მოხვდა,  
ახლა უკვე მიხვდა ფისო,  
რაც ამბავი მისთვის მოხდა.

და მსაქეთ ჩვენმა ფისომ  
ძლიერ, ძლიერ დაირცხვინა,  
ისევ ცეცხლთან ჩუმად არის,  
ისევ წივს და ისევ სძინავს



ბიჭიკო წიძნაძე  
ტფილისის №7 სრული საშუალო სკოლის  
V კლასის ბიჭი.

# ბიძიას სარეჟისეზი



ნოდარის სიხარულის საზღვარი არ  
ჰქონდა, როცა მას ბიძამ სათამაშო ნაჯა-  
ბი და ხერხი აჩუქა-

ის სულ იმას ფიქრობდა, დახერხავდა  
თუ არა ეს ხერხი შეშას. დილას მამა სამ-  
სახურში წავიდა, დედა კი ბაზარში. უც-  
ბათ მამამ დარეკა ტელეფონით. როცა  
ნოდარმა გაიგონა ახლა შეშა მოვაო, იფი-  
ქრა მე დახერხავო.

აი, მოვიდა ავტო შეშით. ნოდარი  
სიხარულმა აიტაცა, წამოავლო ხელი  
თავის ხერხსა და ნაჯახს და გარეთ გაქან-

და. მერამ, რომ დანახა შეშას მხერ-  
ხავი მოჰყვა, აიღო და მხერხავს შეუბ-  
ღვინა: შენ არ გეჭირხარ, მე უნდა დაე-  
ხერხო, შენ გგონია მე ხერხი და ნაჯა-  
ხი არა მაქვს! და ნოდარმა აჩვენა მხერ-  
ხავს თავისი ხერხი და ნაჯახი.

ნოდარმა ღრიალი მორთო, როდესაც  
მხერხავმა ხერხვა დაიწყო. დედამ ძლივს  
დაამშვიდა იმ პირობით, რომ ის შემ-  
ღვამ დახერხავდა.

მუკამ ნახტამი  
მე-14-ე სრ. საშ. სკოლა  
III კლასის მოწაფე.

ქველსი სოი ხიდასაველის კლემეყრე ქალოს სიმეორა

მხერხ

Piano

მესივთ თამარ შავერმაშვილს

ჩვენს მშობლივთ არ-შია ვართ  
ბიძის დასწრე მე-დამშავებთ


ყოლოქყოფი ყო-ფისავეთ მე — გმი-სულ შიხისგმეფევეთ მე — მე —

და capo ძალ ვეგო

ვეტრფით ყოფას ახალს, დიადს  
ვეხალისებს ტემპი ჩქარი,  
სოცსევებრის გუფუნს — გრიადს  
რომ თან ფმღერს ბრძოლის ქნარი...

შეეთვისა ჩენი გულა,  
და ვიწვეთ მილბა; მდლბა —  
ამეშია ყოფნა სრული  
და არ ვიცით მიტომ დაღლბა.

5-279

„ აფ 5 „ ლ „  „ ნე „  „



„ ლ „



ძროხა  
რას  
იძლევა

„ ბს „

შედგენილია მე-20 სტ. II კლასის მოწაფის ტატო ახათიანი-ს მიერ.